წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. პარასკევი 17 ივნისი

# სამშობლო

№ 382

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ [illegible] პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა

**კნეინა ნინო წერეთლისა დადეშკელიანის ასული,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმათ დამწუხრებულნი ჭირისუფალნი: და კნ. მარიამი და სიძე ჯვებე დადიანი, რძლები: კნ. ელენე დადეშკელიანისა შარვაშიძის ასული, კნეინა ელისაბედ დადეშკელიანისა ანჩაბაძის ასული; დისწულები: კნეინა მარიამ წულუკიძისა ნიჟარაძის ასული, ფედოსია ქუთათელაძისა წულუკიძის ასული, აგრაფინა იასონის ასული წულუკიძისა, მიხეილ ერმალოზის ძე ნიჟარაძე, კოწია, სანდრო და ანდრო თავადი იასონის ძენი თავადი წულუკიძეები; სიძეები: თავ. გიგო სიმონის ძე წულუკიძე და ილიკო მოსეს ძე ქუთათელაძე

პანაშვიდები საღამოს 7 საათზე. გამოსვენება საკუთარი სახლიდან პოლიციის ქუჩა. კვირას, 19 ივნისს. დაკრძალვა არქიელის გორაზე წმინდა გიორგის ეკლესიაში 3—3

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა აუწყებს რა საზოგადოებას

**ნინო კონსტანტინე დადეშქელიანის ასულის კნეინა წერეთლის**

გადაცვალებას, სთხოვს მას დაესწროს პანაშვიდს, რომელიც დანიშნულია გამგეობის მიერ, მთავარანგელოზის ეკლესიაში შაბათს, 18 ივნისს, დღის თორმეტ საათზე. 2—1

16 ივნისს დილით, უეცრათ გარდაიცვალა

**დავით ივანეს ძე ჩოჩიავა,**

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი მეუღლე გარდაცვალებულისა პასიკო დავითის ასული, შვილები: მარიამ ივანოვისა შვილებითურთ; ელენე, იაგორა და ვანო ჩოჩიავები. პანაშვიდი ყოველდღე 6 საათზე თბილისის ქუჩა, ობორინის შესახვევი საკუთარი სახლი. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

217 3—1

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 16 ივნისიდან ახალი პროგრამა.

**ჩვენს მოკავშირეთა სამხედრო ქარხნებში.**

ბუნებრივი.

**საყვირის ხმაზე**

ძლიერი დრამა მუშათა ცხოვრებიდან 3 ნაწილად.

**მაშო კარგია, მაგრამ სხვისია.**

კომიკური.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 20 ივნისიდან ნაჩვენები იქნება: **პატე ჟურნალი**, მიმდინარე ამბები **ველურთა ხელში** ძლიერი დრამა 3 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**სალომეს ბოლო.** კომიკური.

„რადიუმი“ აცხადებს, რომ **ა. კუპრინის** ცნობილი სურათი „**გარყვნილების მორევი**“, რადგან დიდ ყურადღებას იქცევს, ამიტომ თბილისში დააკავეს განმეორებით საჩვენებლად. რის გამოც მისი ჩვენება ქუთაისში გამოცხადებულ დროზე ვერ მოხერხდა. სურათის ჩვენების დრო განსაკუთრებულად გამოცხადდება.

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი**. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. ხაღ. საათ 6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ი. **ჩარქვიანი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით, 12½ საათ. საღ. 6—8 საათ. **მისამართი:** ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ბებია** მ. მ. **კიკნაძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

## ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 16ივნი სიდან ახალი პროგრამა.

**მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ა**

თანამედროვე დრამა 4 ნაწილად მონაწილეობას ღებულობენ: ვ. ა. პოლონსკისა, გრამოვისა და სხვ სცენარი ქ. ტისოვისა.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 20 ივნისიდან ნაჩვენები იქნება:

**პატე ჟურნალი.** მიმდინარე ამბები.

**ჰეი, რაშებო, გასწიეთ მარდათ.** ძლიერი დრამა 4 ნაწილ. მოსკოვის ყოფილ მილიონერის ცხოვრებიდან და ცნობილ რუსულ სიმღერის შინაარსზე შედგენილი. მონაწილეობენ ცნობილი მსახიობნი: ბაკშეევი და აგათა ბერლენი.

**ნადირობაც ამასა ჰქვიან.**

კომიკური.

ადგილების ფასი „**ამპირსა**“ და „**რადიუმში**“; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**“ რედაქც.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 15 ივნისი. რიგის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელებმა ჩვენ პოზიციებს ქარიშხალისებური სროლა აუტეხეს, გამოუშვეს კვამლი და პულკარნის მხრით იერიშით წამოვიდენ. არტილერიისა და მოსწრებულ დამხმარე ჯარების წყალობით დიდად დაზარალებული გერმანელები უკუ ვაქციეთ. მდ დვინაზე და იაკობშტადტის მიმართულებით თოფისა და ზარბაზნების სროლა იყო. მტრის მფრინავები ხშირად სჩნდებიან და ყუმბარებს გვიშენენ. 14 ივნისს ღამეს დვინსკში 68 ყუმბარა ჩამოჰყარეს. დახოცილთა რიცხვი და ზარალი უმნიშვნელოა. დაიწვა ორი ვაგონი ნავთი. კრევოს სამხრეთით სროლით მოვიგერიეთ მტერი, რომელსაც წინ სვლა სწადდა. დანარჩენ ასპარეზზე პოლესიემდე მხოლოდ სროლაა. 13 ივნისსა საღამოთი, სოფ. ლინევკაზე (სტოხოდზეა) იერიში მოიტანა, მაგრამ მოვიგერიეთ. მტრის არტილერია აქ მძლავრად მოქმედებს. მტერი ძლიერ ცდილობს შეაჩეროს ჩვენი წინსვლა ბუკოვინაში. მიუხედავათ ამისა, ჩვენი საპიორები და პონტონების გამდები რაზმები სამაგალითო თავგანწირვით ასრულებენ თავის მოვალეობას.

კავკასიის ასპარეზი.

ურმიის ტბის სამხრეთით, დაბა ვანის მიდამოებიდან, ოსმალნი სპარსეთის საზღვრებისკენ განვდევნეთ. ბაღდადის მიმართულებით კალაი-შიხიანის სიმაგრეებთან ოსმალნი დავამარცხეთ და უკუვაქციეთ.

**პარიზი.** 15 ინისი. დღის ოფიციალური ცნობა. ლასინის სამხრეთით გერმანელები რამდენჯერმე შეეცადენ იერიშების მოტანას ფრანგთა სადარაჯოებზე. ტენტილერგრანაკრუპლის გზის მიმართულებით გერმანელთა მზვერავებმა იერიში მიიტანეს ფრანგთა ხაზზე, მაგრამ სროლით განდევნეს. მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე ავოკურ შატენკურის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა მოხდა 304 სა მორტჰომ თან ხელის ყუმბარებით ბრძოლა იყო. მაასის მარჯვენა მხარეს ღამის 3 საათზე გერმანელებმა კონტრიერიში მიიტანეს ფრანგთა პოზიციებზე სიმაღლესთან (?), რაც ფრანგებმა ხელის ყუმბარებით მოიგერიეს. ფრანგებმა სროლით შეაჩერეს გერმანელთა იერიში, სოფ. ფლერის აღმოსავლეთ ნაწილზე მიტანილი ფიცხელი ბრძოლა ატყდა ტიომონთან.

**რომი.** 15 ივნისი, მიუხედავად ავსტრიელთა საარტილერიო ძლიერი ცეცხლისა, იტალიელები წინ მიიწევენ მდ. ბრენტასთან. არსის ღელეში იტალიელთა ჯარებმა გადალახეს მონტერალტოს გამაგრებული კალთები, გასცილდენ ჩანჩქერს, დაიპყრეს პოზინო, პრესიერო და კვლავ წინ მიიწევენ, სეტეკომუნის ვაკე გორაკზე იტალიელთა რაზმებმა საკავალერიო რაზმების წინამძღოლობით მიაღწიეს კორბინო-ტრესკე კონკა-ფონდი ჩესუნას, აზიაგოს სამხრეთ დასავლეთამდე. აზიაგოს ჩრდილო - აღმოსავლეთით იტალიელებმა გაიარეს ნოსის ღელე და დაიპყრეს მონტეფიარო, მონტაფერლი, კეზერლეს სიმაღლე და ჩიმადესტატე. თავის მარჯვენა ფრთაზე იტალიელთა ალპის მსროლელებმა ძლიერი ბრძოლის შემდეგ დაიპყრეს სიმაღლეები: კალდილიერი და კამპალერი. მტერი ასპირეზის ყველა ნაწილზე ბარბაროსულად აწარმოებს ბრძოლას. არსიერო განადგურებულია ცეცხლით აზიაგო კი გადამწვარია და ნანგრევთა გროვას წარმოადგენს. მანიაბოსკოსთან იპოვეს რამდენიმე ასი იტალიელთა ჯარისკაცები ტალახში ჩაყრილი. სუგანოს ღელეში მდგომარეობა უცვლელია.

**ლონდონი** 12 ივნისი. ბარცელონიდან იტყობინებიან: კარდიფის ორთქლმავალი „კენფორჩინი“ დაიღუპა. კაპიტანი და 12 კაცი გადარჩა. „ლლოიდი“ იტყობინება: ორთქლმავალი „ესტროლოჯერი“ ჩაიძირა. 8 კაცის მეტი არავინ არ გადარჩენილა.

საბერძნეთის ორთქლმავალი „ტატაოსი“ ორმინგოსის სიმაღლესთან ტინს დაეჯახა დანელების ნავტიკა „სვანეკი“ს თავს დაეცნენ. ჩაძირულია იტალიელთა შემდეგი გემები: „სანფრანცისკო“, „ჯიუზეპინა“, „სანტისიმისა“ და გაგრადო ფამილია“.

ფრანგების „მიშელი“ და ტაგსანოსპერი“, რომლის ვინაობა არ არის ცნობილი.

ამას გარდა ხმელთა შუა ზღვაში ჩაიღუპა ფრანგების ორთქლმავალი „ფურნალი“.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

სამხედრო ავტორიტების აზრით, ავსტრო-გერმანელების შემოტევა გოროდიშჩისა, სლუცკისა და გოლეცკის ტბების მიდამოებში ჩრდილოეთით მდებარე ადგილების გადასარჩენად არის გამოწვეული.

— —

ლუცკის მიმართულებით ბრძოლა დასცხრა.

— —

კიმოლუნგის (ბუკოვინაშია) დასავლეთით რუსის ჯარმა წინ წაიწია და გზა გაეხსნა ტრანსილვანიისაკენ. ეს გარემოება ძლიერ აფიქრებს ავსტრიის შტაბს.

შეთანხმების პრესა ამ ჟამათ ბევრსა სწერს რუმინიის შესახებ. სხვათა შორის გაზეთი „დაილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ ამ მოკლე ხანში მოსალოდნელია რუსის ჯარი ტრანსილვანიაში შევიდეს. ტრანსილვანიის დაკავებით კი რუმინიის პოზიცია გამოირკვევაო.

— —

ადრიატიკის ზღვაში ავსტრიის წყალქვეშა ნავს დაუღუპავს იტალიის გემი „ოსტერია“.

— —

ვენის მთავრობამ ბრძანება გასცა კრაკოვსა და ლვოვში საჩქაროდ საალყო წესების შემოღების შესახებ

— —

ვენის მთავრობამ სამართალში მისცა ყველა უნიჭო გენერალი და აფიცერი, რომელთაც გალიციის ბრძოლებში უმოქმედობა და სრული უნიჭობა გამოიჩინეს.

— —

ბულგარელებს გევგელისა და ფლორინის შორის დიდძალი ჯარი დაუყენებიათ. კსონტასა და მელინის ბრძოლის პირებზეც ახალი ჯარი გადაუყვანიათ.

— —

„ბირჟ. ვედ.“ სწერს: ავსტრიის ზარბაზნები ამ ბოლო ხანს სულ ფოლადის მასალებისაგან არის ჩამოსხმულიო.

— —

„რეჩი“-ს ცნობით, ავსტრიელები უკიდურესი სიმამაცით იბრძვიან და უკან დახევის დროს ბევრი თავს სწირავსო.

— —

ქრისტიანიის სანაპიროებთან ზღვას გერმანელ და ინგლისელ მეზღვაურთა დიდძალი გვამი გამოურიყავს როგორც ქრისტიანიის დღიური სწერს: მეზღვაურები 18 მაისის საზღვაო ბრძოლის მსხვერპლნი არიან.

— —

ზეებრიუგესთან გერმანელებს მრავალ ნაღმოსნისთვის მოუყრიათ თავი. ნაღმოსნები ბელგიის არხების შემწეობით გადაუტანიათ.

— —

იტალიის ბრძოლის შესახებ ავსტრიელები სწერენ: „ჩვენ ტრენტინოს ხაზით კვლავ შეტევას განვაგრძობთო“.

— —

ფრანგების ცნობით, ვერდენის ბრძოლა სრულიადაც არ დამცხრალ. პირიქით, ამ ბოლო დროს უფრო გაცხოველდა. 11 ივნისს მაასის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე უსაშინლესი შეტაკება მომხდარა, სადაც ორივე მოწინაალმდეგე მხარე დიდათ დაზარალებულა.

— —

შვეციის წყლებში გერმანელების ჰიდროპლანს ინგლისის დიდი გემი შეუპყრია.

— —

12 ივნისს დანიის სანაპირო სიმაგრე გერმანელებს გაუნადგურებიათ

— —

ამერიკის იმპერიალიზმითანდათანფრთებს შლის. როგორც აღვნიშნეთ, მექსიკლებმა აჯანყება მოაწყვეს და ამერიკის ოპეკისა-

# ომის დღიური.

— —

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** რიგის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელებმა რუსების პოზიციებს ქარიშხალისებური ცეცხლი აუტეხეს, კვამლი გამოუშვეს და იერიში მოიტანეს. გერმანელთა ჰაეროპლანები ხშირად დაფრინავენ, დვინსკში 68 ყუმბარა ჩამოუყრიათ და ორი ვაგონი ნავთი დამწვარა. ბუკოვინაში ავსტრიელები რუსების წინსვლის შეჩერებას ცდილობენ.

**კავკასიის ასპარეზი.** რუსებს ოსმალები უკუ უქცევიათ ურმიის მიდამოებში და სპარსეთისაკენ დაუხევინებიათ. ბაღდადის მიმართულებით რუსებმა გამაგრებულ კალაი შიხინისაკენ დაახევინეს ოსმალებს.

**დასავლეთის ასპარეზი.** ინგლისელებმა იპრთან გერმანელების იერიში მოიგერიეს. ლოოსთან სანაღმო ბრძოლაა. ინგლისელთა ხუთი ჰაეროპლანი შეებრძოლა გერმანელთა ჰაეროპლანებს, ორი ფოკკერი ჩამოაგდეს და ორი კიდევ სხვა ჰაეროპლანი, ინგლისელებმა დაკარგეს ერთი ჰაეროპლანი.

**ვერდენთან** საარტილერიო და თოფის სროლაა. ფიცხელი ბრძოლა მოხდა ტიომონთან.

**იტალიის ასპარეზი.** ბრენტაზე იტალიელები წინ მიიწევენ ავსტრიელებმა დასტოვეს აზიაგო.

---

გან განთავისუფლება გადასწყვიტეს. ამისთვის მათ შეიარაღებული შეტაკებაც კი მოუხდათ ამერიკის ჯართან. ახლა, როგორც ნიუორკიდან ტელეგრაფი იტყობინება, ამერიკის რესპუბლიკას გადაუწყვეტია ანექსის გამოცხადებით მექსიკის არსებობას ბოლო მოუღოს.

— —

„მატენი“ სწერს: „რუმინიის ყოყმანს ახლა თუ ბოლო არ მოეღო, მერე მისი იმედი ნულარავის ნუ ექნებაო

— —

ლვოვსა და ვენას შუა ჯარის მოძრაობის გამო, ტელეგრაფისა და ტელეფონის მუშაობა შესწყდა.

— —

„რუსკ. ვედ.“ ცნობით, ვოლინის ფრონტზე, სოფ. გადომიჩთან ბრძოლა ვითარდება. აქ მტერმა დიდძალ არტილერიასა და მზვერავთა რაზმს მოუყარა თავი

— —

იტალიის ასპარეზზე ავსტრიელები შეტევას განაგრძობენ. ჰერჰერცოგ ფრიდრიხს უთქვამს: „გალიცია თავისთვის არის, მე კი ჩემი საქმე მაქვს და ეს საქმე უნდა დავასრულოვო. ამ რიგად, ფრიდიხმა გალიციის სარდლის თხოვნა—იტალიის ასპარეზიდან ჯარების მიშველების შესახებ-არ შეიწყნარა.

— —

იტალიელების აზრით, ავსტრია ჯერ კიდევ კარგა ხანს ვერ გამოასწორებს საქმეს და მას ჯერ კიდევ უკან დახევა დასჭირდებაო.

— —

შეთანხმების სახელმწიფოები დარწმუნებული არიან, რომ საბერძნეთის პრემიერად ისევ შეთანხმების სახელმწიფოების მომხრე ვენიზელოსს აირჩევენო.

— —

„ბერლინერ-ტაგებლატი“ ეხება ბერძნების პოლიტიკას და სწერს: შეთანხმების სახელმწიფოთა ულტიმატუმი კიდევაც რომ მიიღოს საბერძნეთის მთავრობამ და შეთანხმების სახელმწიფოთა მომხრე ვენიზელოსი აირჩიონ, ეს მაინც სრულებით ვერ შეცვლის იმ განწყობილებას, რომელიც ჩვენ და ბერძნებს შორის არსებობსო, ვინაიდან იქ, სადაც მეფე და ხალხი ერთის აზრით არიან გამსჭვალული, პრემიერი, ვინც უნდა იყოს, ვერაფერს გახდებაო.

— —

ვენიზელოსს „დეილ გაილი“-ს კორესპონდენტისათვის უთქვამს: შეთანხმების სახელმწიფოთა ულტიმატუმმა აღადგინა საბერძნეთის კონსტიტუცია. დემოსისა და ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. მე კიდეც რომ გამაშავონ, ყუთს მაინც დავიდგამო.

— —

სალონიკთან ძლიერი საარტილერიო ცეცხლი მძინვარებს. ბულგარლებს მაშველი ჯარები მოუვიდათ.

— —

„რუსკ. სლოვ.“ გადმოგვცემს: მესოპოტამიის ოპერაციას ენვერ ფაშა ხელმძღვანელობს. ბაღდადის დასაცავად ოსმალებს სამ ხაზიანი ხლართები და სიმაგრეები გაუმართავთ. სასმელ წყალს ტიგროსიდან ხმარობენ

— —

გალიპოლისის ჯარები ოსმალებს ბაღდადის დასაცავად გამოუყვანიათ

— —

ოსმალეთში დიდ შიშს იწვევს არაბთა აჯანყება აჯანყებულთა წინააღმდეგ ჯარები გაგზავნა მოუხერხებელი ხდება, რადგან რკინის გზები მეამბოხეთ მოუსპიათ.

---

# სამხედრო მიმოხილვა

### შეჩერება

გუშინდელ დეპეშებში საყურადღებოა ორი ცნობა: რიგასთან ქარიშხალისებური ცეცხლის დახმარებით წარმოებული იერიში გერმანელებისა და ბუკოვინაში რუსების წინსვლის შეჩერება. რუსები მიუახლოვდენ ტრანსილვანიის საზღვარს, სადაც მდებარეობს კარპატის სამხრეთი ნაწილი, მაღალი მთები კირლი ბაბათი. გადალახა ამ მთებისა, თუნდაც რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო, გადამწყვეტი ხასიათისა იქნებოდა.

თუ რუსის ჯარი წინ წავიდოდა კიდევ და შევიდოდა ტრანსილვანიაში, ამ შემთხვევაში, ეს ოპერაცია გრანდიოზულ ხასიათებს მიიღებდა და, რომ წინ წასული ჯარი არ დარჩენილიყო მოწყვეტილი ბაზას, რუსებს მოქმედება უნდა განეგრძოთ და განევითარებიათ ბრძოლები გალიციით და უფრო ჩრდილოეთით.

ეხლა კი გალიციაში ავსტრიელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსებს, შეაჩერეს ისინი და გერმანელებმა კი ჩრდილოეთით რიგასთან და პოლესიეში დიდი აქტივობა გამოიჩინეს. ამგვარად, მდგომარეობა ისეთი შეიქნა, რომ ზოგი გერმანელთა საერთო შემოტევაზეც კი ალაპარაკდა.

უეჭველია, თუ კი მართლა რუსები ტრანსილვანიისკენ გაიჭრებოდენ, უთუოდ მოკავშირეებსაც უნდა დაეწყოთ მოქმედება, რაც ბალკანეთზე დღევანდელი მდგომარეობის გამო ჯერჯერობით შეუძლებელია

ამას უნდა მიუმატოთ ის გარემოება, რომ ოსმალები აღარა ხუმრობენ და ეხლა უკვე ურმიის ტბის სამხრეთით მოქმედებენ, სადაც დაბა ვანიდან გუშინ გაუდევნიათ რუსებს. თუ მაინცადამაინც რუსები შევიდოდენ ტრანსილვანიაში, დიდი ჯარი და საომარი საშუალებანი დასჭირდებოდა ამისათვის; ოსმალები ისარგებლებდენ ამ გარემოებით, ფართო შემოტევას დაიწყებენ და არა თუ დაკარგულ ტერიტორიას დაიბრუნებდენ, კავკასიაშიაც ეცდებოდენ ფეხის შემოდგმას.

ეს მშვენივრად ჰქონია შეგნებული რუსის მხედრობას, როდესაც მას შეჩერების ბრძანება გაუცია

ყოველ სახელმწიფოს განსაზღვრული საშუალება აქვს და მის შესაძლებლობასაც საზღვარი უძევს რაც უნდა ძლიერი და დიდი სამხედრო საშუალებათა მქონე იყოს მეომარი სახელმწიფო შეუძლებელს ვერ შესძლებს.

რუსის მხედრობა ვერ შესძლებდა ერთსადაიმავე დროს ფართო ოპერაციის წარმოებას ავსტრიის საზღვრებზე და ოსმალთა ძლიერი შემოტევის შეჩერებას.

რუსის მხედრობამ იკმარა დიდი დავლა, რომელიც მას დარჩა გალიციის ბრძოლების შემდეგ და შედგა საუკეთესო მომავლის მოლოდინში

ამნაირად, მთელ აღმოსავლეთის ასპარეზზე შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. და რა მოხდება აქ შემდეგში, ამას გამოარკვევს საქმის მდგომარეობა სხვა ასპარეზებზე

შვერდი

---

# ქართული პრესა.

გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ვ. ნ სპ კედიასი, შემდეგის სათაურით: ჭიათურის შავი ქვა და ჩვენი დანაშაული. ჯერ მოგვყავს ეს წერილი შემოკლეეით და მერე ჩვენ აზრსაც გამოვსთქვამთ.

არავინ არ დაინტერესდა, არც საზოგადოება, არც პრესა იმით, თუ რა მოელოდა ჭიათურის იმ მადნიან ადგილებს, რომელიც უჭირავს ორს დიდს გერმანულ საზოგადოებას, ჰელზენ კირხენის საზოგადოებას და კავკასიის სამადნო ამხანაგობას ამ უკანასკნელ წლებში ამ ორმა საზოგადოებამ მთელი ჭიათურის წარმოების მესამედი ხელში ჩაიგდო და 1913 წელში ჭიათურიდან საერთოდ გაზიდულ 70 მილიონ ფუთიდან, 25 მილიონი მარტო ამათ გაიტანეს

ყველასაგან ცნობილია ოთხი თებერვლის კანონი და გერმანელების მამულების ლიკვიდაციის საკითხი. მთელი რუსული პრესა დღემდე ამ საკითხს მწვავედ თავს დასტრიალებს. როგორ მოხდა, რომ ჩვენში არავის მოაგონდა არც „ჰელზენ-კირხენი“ და არც „კავკასიის სამადნო ამხანაგობა“, რომ არავის გაახსენდა ჩვენი უთაობით მცონარობით და უვიცობით დაღუპული ჭიათურა, ეს დიდი ეროვნული განძი?! როგორ მოხდა, რომ არავის დაებადა განზრახვა ჩასჭიდებოდა ოთხ თებერვლის კანონს და ცდილიყო, რომ ამ ორი საზოგადოების დიდი მამული ქართველობისთვის შეემატა?! ქართველ საზოგადოებას რამოდენიმეჯერ გავახსენეთ ეს საქმე. პირველად პეტროგრადიდან საკუთარი კორესპონდენტისაგან მიღებულ დეპეშით, შემდეგ საგაზეთო წერილებით. ყველამ პირში წყალი ჩაიგუბა. ყველა ყველაა, მაგრამ ჭიათურის შავი ქვის საბჭოს სიჩუმე უაღრესად განსაცვიფრებელია, ყოვლად გაუგებარი, და ქართველი საზოგადოებისათვის პირდაპირ შეურაცხმყოფელი. 24 აპრილის ნომერში ჩვენ ვთხოვდით ხსენებულ საბჭოს, ეკითხნა ქართველი საზოგადოებისათვის, იჭერდა რაიმე თადარიგს თუ არა ამ საკითხში, თუ სრულიად უპატრონოთ ვიყავით და არავინ ზრუნავდა უდარდელად დაკარგულის როგორმე უკან დასაბრუნებლად. ჩვენ მოვითხოვდით შავი ქვის საბჭოს ეს საკითხი გამოეტანა საზოგადოებაში, თაოსნობა გამოეჩინა, მოეთხოვა შველა და დახმარება და აქტიური მუშაობა გაეწია ყველა ეროვნული ცოცხალი ძალის თანაშეწევნით. დამეთანხმებით, ეს შეადგენდა შავი ქვის საბჭოს პირდაპირს მოვალეობას. მაგრამ საბჭომ ჩვენი გულწრფელი შენიშვნა და მუდარა უყურადღებოთ დასტოვა. პრესამაც ხმა არ ამოიღო. დრო კი არ იცდის და ჭიათურის ამ მამულების ლიკვიდაციის საქმე თავის გზით მიდის ყველაფერი შეიძლება ერთს თვეში დამთავრდეს სამინისტროდან მეფის ნაცვალს დავალება მოუვიდა შეადგინოს საგანგებო კომისია, რომელმაც სამი კვირის განმავლობაში უნდა აწეროს და შეაფასოს ჰელზენ-კირხენისა“ და კავკასიის სამადნო ამხანაგობის მთელი ქონება და ეს აწერილობა და შეფასება პეტროგრადს გაგზავნოს თავისი საკუთარი აზრის დართვით. მეფის ნაცვალმა „პრავიტელსტვენი ვესტნიკში“ უნდა შესაფერი განცხადება მოათავსოს ამ მამულის გაყიდვის თაობაზე. მსურველს მამულის შეძენა შეეძლება დღიდან გამოცხადებისა ორი კვირის განმავლობაში

მრავალი მილიონად ღირებული და დაფასებული მამულის შეძენა წინასწარ მოუმზადებლად თვით მილიონერებისათვის არ არის ადვილი გასაბედავი. ამიტომაც თადარიგი ამ თავითვე დაჭერილია იმ წრეებში, რომელნიც დაინტერესებულნი არიან, რომ ჭიათურის ულევი სიმდიდრე ხელში ჩაიგდონ. ყველაფერი სიჩუმეში მზადდება. უკვე ორი კამპანია შესდგა „ჰელზენ კირხენ“—„კავკასიის სამადნო ამხანაგობის“ მამულების შესაძენად ერთს შეადგენს ლვოვ გრუბეტერ-დავითიანცი და $C^0$, ხოლო მეორეს ოჰანეზოვ-ლიანოზოვი და $C^0$. პირველი კომპანიის ზურგს უკან სდგას, თუ ჩვენი ცნობა სწორია, ციმბირის ბანკი, ხოლო მეორისა—აზოვ-დონის ბანკი.

შეიძლება ითქვას, ხსენებული მამუ-

---

# გაკვრით.

(ამხანაგნესი)

„მინდა რომ ვსთქვა, მაგრამ რა ვსთქვა უსამართლოდ დაჩაგრულმა“-ო ამოიკვნესა ერთხელ დიდმა აკაკიმაც-კი, და ჩვენ პატარა კაცებს რაღა გვეთქმის იქ, სადაც „ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაქცეულა“, იმიტომ კი არა, რომ ქართველი ხალხის წიაღში არა მუშაობდეს ძველთაგან გადმონაცემი მადლი თვით-გამორკვევისა, თვითშეგნებისა, თავის საკუთარ ფეხზე დადგომისა. არა! პირიქით, ეს მადლია რომ გვამხნევებს და მომავლისაკენ იმედიანად მიგვიწვევს.

ჩვენი ცხოვრება იმიტომ არის ჯოჯოხეთად გადაქცეული, რომ აღარ იცი „ვის მიენდო, საიმედო ვინ არის“, აღარ იცი, რა სთქვა და რა გააკეთო, რომ შენი ფიქრი და აზრი, შენი მისწრაფება, შენი გულისტკივილი ფეხით არ გაჰქელონ და შენი წმინდათა წმინდა შელანძღული არ დაგირჩეს!...

ყველა „ალია, თუ მუსია“, ღირსეული, თუ უღირსი, კრიჭაში გიდგია და სიტყვას პირიდან გაცლის შენივე ქვეყნის შვილი, შენივე მეზობელი, ვითომდა შენივე იდეალებით გატაცებული, რომ თვითონ იპარპაშოს და საზოგადოებრივ ასპარეზზე გასაქნი არ მოგცეს.

განა თუ გეტყვის: აი, ძმაო, ჩვენ,—ორივენი—ვემსახურებით ერთსა და იმავე ღმერთს, მაშ, მოდი და საერთო ძალით ავაშენოთ ტაძარიც ამ ღმერთისათვისო“. ამისი თქმა ყველა ჩვენთაგანს დიდი ცოდვა ჰგონია.

რათა?

იმიტომ, რომ ჩვენ, ქართველებს,—არავითარი დისციპლინა, არავითარი წესი მოქმედებისა არა გვაქვს, ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე ტყისკენ გავიყურებით და სულ იმასა ვცდილობთ, რომ მარტო ჩვენ დაგვინახოს საზოგადოებამ და მარტო ჩვენს თავმოყვარეობას, ემსახუროს იგი საზოგადოება!

ასეთი სენი სჭირს არა მარტო მომწიფებულსა და ხნიერ—ქართველ ინტელიგენტს, ასეთი ჭირი სჭირს გუშინდელ ბალღსაც, იმ ბალღს, რომელსაც ჯერ თავზე ხელი არ მოუსვამს, და კუსავით კი ნახირში ფეხსა ჰყოფს. .

არც დიდი ხნის ნამსახურობა ქართველი საზოგადოების წინაშე, არც ნიჭი, არც გულწრფელობა, არც დაუღალავი შრომა და გარჯა, ვერაფერი ვერა დაგიხსნის-რა იმ აღვირახსნილთა შეურაცხყოფისაგან, რომლებიც რაღაც მანქანებით—არა, უკაცრავად, რაღაც მანქანებით კი არა, ჩვენის უდისციპლინობით სათავეში მოჰქცევიან ბევრ ჩვენს დაწესებულებას და ალქაჯებივით დაჰხარხარებენ ყოველივე კარგსა და ჩინებულს, რაკი ეს კარგი და ჩინებული იმათ გოგრიდან არ გამოდის!

მართალია, 905 წლიდან ჩვენში ყველაფერი გადემოკრატდა. ესე იგი გახალხოსნდა, მაგრამ დემოკრატობა სრულიადაც არ ნიშნავს თავხედობას, უზრდელობას, მეტიჩარობას, უზნეობას, წინდაუხედაობას, ცხვირპირის წაჭმას, უღირსთაგან ღირსეულების დამცირებას, ყოველივე წმინდათა წმინდის შელახვას, ამაგისა და შრომის გაქარწყლებას, პირიქით, დემოკრატობა ის არის, რომ ყველა ის სიკეთენი, ყველა ის დიადი და წმინდა აზრები, ყველა ის ცოდნა და სწავლა, ყველა ის კარგი და ადამიანის ადამიანურ გზაზე დაყენებული მოძღვრებანი, რომლებიც საზოგადოდ კაცობრიობას და კერძოდ საქართველოს ისტორიას შეუმუშავებია, ხვედრი იყოს ქართველების არა რომელიმე ერთი ჯგუფისა—ინტელიგენციისა—არამედ ხვედრი იყოს მთელის ხალხისა, მთელის ერისა, რომ დიდმა, თუ პატარა ქართველმა შეიგნოს თავისი ვინაობა და რაობა, შეითვისოს მთელი ერის გამბედნიერებელი მოძღვრებანი და მზეი ამ მოძღვრებათა ერთგვარად ეფინებოდეს „ვარდსა და ნეხვს“.

დემოკრატობა ის კი არ არის, რომ ბედაურების დახოცვის შემდეგ, ვირებს დარჩეს მოედანი, ან ბედაურების დაწიხვლა სახედრებს მივაჩემოთ, დემოკრატობა ის არის, რომ ყველამ შეიგნოს თავისი ძალღონე და შეძლებისადაგვარად ემსახუროს თავის ქვეყანას, თავის ხალხს უკეთეს მერმისს.

დემოკრატობა არც ანარქიაა, როცა ყველაფერი დომხალივით არის არეული, როცა ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს, დემოკრატობა არის ერთგვარი ჰარმონია, ერთგვარი წესი ცხოვრებისა, როცა სულელი ჭკვიანს უგდებს ყურს, უსწავლელი ნასწავლს, საპყარი—ჯანმრთელს, უწვრთნელი—გაწვრთნილს, უმეცარი—ხელოვანს, უზრდელი—ზრდილობიანს, მცონარა—ქვეყნის ჭირისუფალს, როცა ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, როცა ყველა ერთისათვის არის და ერთი ყველასათვის, იმ პირობით, რომ არც ერთის ღირსება არ შეიბღალოს და არც ერთი არ იყოს ხორცმეტად, პარაზიტად, ბატონად, ან ყმად, არამედ იყვნენ აზარმაცად ერთი მეორისა, გზად და ხიდად ერთმანეთისა, დამხმარედ და მშველელად ურთიერთისა...

მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დაწყარება იმ საერთო, საყოველთაო სამართლიანობისა, რომლის შესახებაც ასე გავყვირით ყველანი და რომელიც ჩვენის უდისციპლინობის გამო დღეს ყოველ ნაბიჯზე შელანძღული და შეგინებულია!..

რამ დაბადა ჩვენში ეს უდისციპლინობა, რომელიც, ჩემის აზრით, ყოველგვარ ბატონყმობაზე უარესია?

ეს უწესობა და უდისციპლინობა დაბადა, პირველყოვლისა, ჩვენმა,—ქართველების,—უპატრონობამ.

ამ უპატრონობას ასი წლის ისტორია აქვს. ამ უპატრონობის დროს ქართველმა კაცმა დაჰკარგა ქართველის ხასიათი, დაჰკარგა თავისი თავი და უცხოთა კალთაზე მობღაუჭებული, ვაი-ვაგლახით მიფორთხავს ცოდვილ დედა-მიწაზე, ვინაიდგან სხვის თვალებში შემყურე, ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ეს ამ სხვას ესიამოვნებოდა...

არამც თუ ამ ორმოცი თუ სამოცი წლის წინად, დღესაც კი ქართველი კაცის იდეალია „ოცი რიცხვი და თბილი ადგილი“. დღესაც ჩვენი სოფელ-დაბა ქალაქები მარტო პროგიმნაზიებისა და „უმაღლესს სახალხო სასწავლებლების“ დაარსებას მოითხოვენ, რომელი სასწავლებლებიც მხოლოდ და მხოლოდ ჩინოვნიკებს გვიზდიან, ჩინოვნიკებს, თუ „ადგილის შოვნით“ არა, ჩინოვნიკებს სულითა და გულით მაინც!..

მეორე მიზეზი ჩვენის უდისციპლინობისა და არევ-დარევისა არის ჩვენი „ჯგუფობანა“, ეს თითქოს სანაქებო პროგრესი ჩვენის ცხოვრებისა, მაგრამ, ჩემის აზრით კი, დიდად მავნებელი და დამღუპველი დღევანდელ დღეში მყოფ საქართველოსა.

მე ვიცი, რომ ამის გაგონებაზე გულიანად გაეცინებათ ჩვენებურ ჩემპიონ-ლიტერატორებს და „სოციალისტ“ მლიქვნელებს“. მაგრამ პირველ ყოვლისა ამით თავის თავს უფრო დასცინებენ, ვინაიდგან ჩვენის ქვეყნისა იმათ იმდენივე ესმისთ, რამდენიც ჩვენ ვიცით მარეხზე მცხოვრებთა შესახებ.

დიაღ! ჩვენში არსებული „ჯგუფობანა“ ძირს უთხრის იმ ერთობას, რომელიც აუცილებლად საჭიროა საქართველოს ხსნისა და ბედნიერებისათვის.

ეს „ჯგუფობანა“ ღრღნის საქართველოს სხეულს და აწყალებს უიმისოდაც დასუსტებულ მის გულს!

ეს „ჯგუფობანა“ აკნინებს და აწვრილმანებს იმ ძალას, რომელმა ძალამაც ფეხზე უნდა დააყენოს წაქცეული საქართველო ეს „ჯგუფობანა“ ბედაურების მაგივრად ხშირად ყოვლად უმეცრებსა და უწვრთნელებს საშუალებას აძლევს—„ხალხის“ სახელით ლაპარაკისას და საზოგადოებრივ აზრის შექმნისას.

ვინ არ იცის, მაგალითად, რომ ამა თუ იმ „ჯგუფის“ მეოხებით ჩვენში ხშირად „ლიტერატორობს“ ვინც მხოლოდ „ჩემპიონად“ დაბადებულა და წიხლებს ისვრის ის, ვინც ქურდ-ბაცაცობასა და ჩარჩობას ვერ გასცილებია!

ვინ არ იცის, მაგალითად, რომ ამ თავხედების მეოხებით ბევრი ცნობილი მოღვაწე დადუმებულა, ჩამოშორებია საზოგადო საქმეებს და მის ალაგას „სტოროჟსტრაჟნიკები“, წამოსკუპებულან!

ვინ არ იცის, მაგალითად, რომ ამ ყოვლად დასაგმობ „ჯგუფობანობის“ მეოხებით ამა თუ იმ ღირსეულ მუშაკის რეპუტაციას ჰქმნის რომელიმე უზნეო მანდილოსანი და იქ, სადაც უნდა ჰქუხდეს ხმა სამართლიანობისა, ამ ხმას ახშობს გრძნეულობა ნათლიმამობისა და პირად მოწონება დაწუნებისა?!

ეჭვი არ არის, რომ ასეთ პირობებში ძნელია შექმნა რაიმე დისციპლინისა, რაიმე საერთო საქვეყნო იდეისა

ლები ფაქტიურად თითქმის უკვე გაყიდულიც არისო. ოფიციალი განცხადება ,,მთავრობის უწყებებში'' მხოლოდ ფორმალური დასტურყოფა იქნება, რაც უკვე დამზადებულია იმისა. სხვა დროს თუ ფიქრიც არ შეიძლებოდა ამ მამულების უკან დაბრუნებაზე, ამ მსოფლიო ომმა ეს შესაძლებლად გახადა და ამ შესაძლებელის განხორციელება ჩვენს პირად გარჯასა და უნარზედ იყო დამოკიდებული. ხოლო ჩვენის უკეთურობისა და უმოქმედობის წყალობით ეს იშვიათი შემთხვევა ხელიდან მიგვიდის, ამ ძვირფასს მამულებს სხვები დაეპატრონებიან, ხოლო ამ შემთხვევაში იქნებ სამუდამოდ, ან მეორე მსოფლიო კატაკლიზმამდე!!

ხოლო შავი ქვის საბჭოს რომ თავი გამოედო (იქნება გამოიდო და ჩვენ არ ვიცით, გვაუწყონ მაინც) და მყიდველთა შორის გამოსულიყო, მას შედარებით კერძო პირებთან და საზოგადოებებთან დიდი უპირატესობა მიენიჭებოდა. მთელი ჭიათურის წარმოების ეგრე ვსთქვათ გამგე ორგანო ის არის. ეს გარემოება კი საბჭოს მისცემს ერთგვარ უფლებრივ უპირატესობას ჭიათურის გერმანელების მამულის შეძენაზე, გადამთიელთან შედარებით. მერე, სახელმწიფო კეთილსაიმედოვნების მხრივ ერთია, როცა შავი ქვის საბჭო იქნება ამ მამულების პატრონი, და სულ სხვაა, როცა მათ კერძო სააქციონერო საზოგადოება დაეპატრონება. რა გარანტია აქვს მთავრობას, რომ აქციების მეტი წილი თუ სულ არა, ბოლოს და ბოლოს ან ისევ გერმანეთს არ ჩაუვარდება ხელში, ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს, რომელიც ერთ დღეს შეიძლება გარემოებამ რუსეთს შეაბრძოლოს?! ამ მხრივ უშიშარ გარანტიას მხოლოდ შავი ქვის საბჭო მოგვცემს ხოლო თუ სხვა კერძო საზოგადოებები ბანკების ნდობას გაიჩენდენ ამ ადგილების შესაძენად, ნუ თუ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, რომელსაც საფუთო გადასახადიდან წლიური შემოსავალი აქვს ერთი მილიონ ოთხასი ათასი მანეთი (უკანასკნელ წელს გაზიდული შავი ქვის რაოდენობა თუ ვიანგარიშეთ) და რომლის ეს შემოსავალი ომის შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება, რადგანაც სამეტალურგიო წარმოება უთუოდ იმატებს, — ნუ თუ ამ შემოსავლის პატრონ შავიქვის საბჭოს არ შეეძლო ნდობა და ფული მოეპოვა?! რომელი ბანკი დაერიდება ამგვარ კომბინაციებს ასეთ სერიოზულ დაწესებულებასთან. მაგრამ რა ვქნათ თუ იმის შნოც არა გვაქვს, რომ ჩვენი კაკალი ავაჩხრიალოთ იქ, სადაც სხვები ბამბასაც კი აჩხრიალებენ?

ფუჭია ყოველგვარი ობიექტიური პირობები, რაგინდ ხელსაყრელიც იყვნენ ისინი, თუ ინიციატივა და თაოსნობა აღარ არის. და აი, გვინდა გავიგოთ, ესინიციატივა და თაოსნობა ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში შავი ქვის საბჭომ გამოიჩინა თუ არა?

გვინდა ვიცოდეთ, მან გამოიჩინა თუ არა სიცოცხლისა და ბრძოლის უნარი, ქვეყნის ინტერესი ფხიზლათ დაიცვა თუ არა თავის შეძლების ფარგალში, დაგვამშვენა თუ არა ჩვენცა და თავისი თავიც! ამის მოთხოვნის სრული უფლება გვაქვს. ეს საქმე დიდ საქვეყნო საქმედ მიგვაჩნია და ნუ ინებებს შავი ქვის საბჭო კვლავინდებურ სიჩუმეს და უყურადღებობას ჩვენს გულწრფელ შეკითხვაზე და დიდ საქვეყნო საქმეზედ. ნურც ქართველი საზოგადოება ჩაიგუბებს პირში წყალს, და ნურც ქართული პრესა გაუჩუმდება ამ გარემოებას. ღირსება შევიმატოთ, კინკლაობაზე ავმაღლდეთ და ყოველი საგანი მისი ნამდვილის ზომით დავინახოთ.

## რუსული პრესა.

პეტროგრადელი „დენ“ ი ცნობილი სახელმწიფოებრივი მოღვაწის ს. გლინკეს შესახებ სწერს:

ვის მიეკედლოს გლინკა? მის გონებაში დიდი არევ-დარევა ხდება,— მაკლაკოვთან ურჩევნია თუ შჩეგლოვიტოვთან? ამ ორ მეგობარს შორის განხეთქილება მას შემდეგ ჩამოვარდა, რაც მაკლაკოვმა სათათბიროს ტრიბუნიდან გლეხთა უფლებრივ გათანასწორების შესახებ აღძრულ საკითხზე ძლიერი და შეუდრეკელი სიტყვა წარმოსთქვა.

ამის შემდეგ ჩამოშორდა მას შჩეგლოვიტოვიც ამ რიგად, ეს ცნობილი მოღვაწეები ახლა გზა აბნეული არიან და მეგობრებს დაეძებენ.

მაგრამ მოსალოდნელია, რომ იგინი ისევ ჩქარა დაუახლოვდებიან ერთმანეთს, ვინაიდან მაკლაკოვის გამოსვლა ერთდროული იყო და ხვალ იგი ისევ ძველ პოზიციას დაიჭერს“-ო, დაასკვნის გაზეთი „დენი“.

— —

კადეტთა „რეჩი“ რუსეთის ბანკების საქმეთა გამოსაბრუნებლად და ამ ბანკებში მოსალოდნელ ბოროტმოქმედებათა თავიდან ასაცილებლად მოითხოვს, რომ დაარსებულ იქნას განსაკუთრებული თვალყურის მდევნებელი ორგანო.

პეტროგრადის სატელეგრაფო და სატელეფონო სადგურებში დიდი უწესოება მოხდა. ამ უწესოებამ უკვე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უწესოება თუ „სკანდალები“ გამოწვეულია ხსენებულ დაწესებულებაში მომუშავე ქალებისადმი უდიერი მოპყრობით.

ამის შესახებ გაზეთ „დენ“ში დ. ზასლავსკი სწერს:

გერმანელი ფელდმარშალი ჰინდენბურგი ამბობდა: „ამ ომში ის გაიმარჯვებს, ვისაც მაგარი ნერვები აქვსო“. როგორც სჩანს, ფოსტა-ტელეგრაფის უფროსები პოხვისნევი და პილიაევი ჰინდენბურგს შეჯიბრებიან, რომ მათ ყველაზე უმაგრესი ნერვები აქვთ. თუ ეს ასე არა, მაშ რას უნდა მიეწეროს ის „სკანდალები“, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფოსტა ტელეგრაფის დაწესებულებებში, სადაც ხსენებული უფროსები გაჯიუტებული იდგენ და ქალების დამცირებას ხელს უწყობდენ..

ამ უკიდურეს „პატრიოტთა“ საქციელი სამშობლოს ისტორიაში უნდა ჩაიწეროს.

მათთვის ყველაფერი შეიძლება, ხან პატრიოტობა და ხან უკიდურესი დესპოტობაც კი...

ვინ იცის, რამდენი პოხვისნევისთანა და პილიაევსკისთანა „მაგარი“ ნერვებიანი და „დესპოტი პატრიოტები“ ბუდობენ რუსეთის განაპირა ქვეყნებში, სადაც მათი ბოროტმოქმედება უმეტეს ნაწილად აღუნიშვნელი რჩება!?

## ხელის მომწერ. საყურადღებოდ

## კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს, დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

ლოზანიდან იტყობინებიან, პარიზის კონსერვატორიაში კურსდასრულებულს ცნობილ პიანისტს ირაკლი ჯაბადარს დაუწერია ქართული ოპერა „გულ ნარას“ სახელწოდებით. საუკეთესო კომპოზიტორებს ქებით მოუხსენებიათ ჩვენი თანამემამულის მუსიკალური ნაწარმოები.

◆ ამ ჟამათ ქალაქის ბაზარზე აბრეშუმის პარკი ფასობს: 1-ლი ხარისხის 31 და 32 მან. 2-რე ხარისხის 29 დან 30 მან მე 3 მე ხარისხის 28 მან.

◆ არქიელის გორის მცხორებნი დიდათ შეწუხებულნი არიან იმ გარემოებით, რომ ერთადერთი გზა საიდანაც წყალი ამოჰქონდათ ბ. ჩილინგაროვმა დაკეტა და მთელი უბანი უწყალოთ რჩება.

◆ ოთხშაბათს, 15 ივნისს, წ.-კ. საზოგადოების განყოფილების გამგეობამ, მოისმინა რა კნ. ნინო დადეშკელიანის ასულის წერეთლის გარდაცვალების ამბავი.

წ. კ. საზ. გამგეობამ დაადგინა: პარასკევს 17 ივნისს, დღის 12 საათზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნეს პანაშვიდი განსვენებულის კნ. ნინო წერეთლის სულის მოსახსენებლად, გაიგზავნოს ორი წარმომადგენელი გამგეობისა ჭირისუფლებთან სამძიმრის გამოსაცხადებლათ. კნ. წერეთლისამ ქ. შ. წ. საზოგ. უანდერძა სამასი თუმანი.

◆ ქუთაისის მაზრის მარშლის თანაშემწემ თ მა ა. გ. ლორთქიფანიძემ უკვე მიიღო ფიცი და შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას.

◆ 19 ივნის, ქუთაისში მოწვეულია წვრილი კრედიტის ამხანაგობათა წარმომადგენლების საერთო კრება.

◆ წელს ქუთაისის ქართული გიმნაზიის მეექვსე კლასის კურსი დეპუტატის თანადასწრებით დაამთავრა 78 მოწაფემ.

◆ ის ხმები, რომ ამ ახლო ხანში მეორე ხარისხის მოლაშქრეთ გაიწვევენო (ლურჯ ბილეთიანებს) სიმართლეს მოკლებულია.

◆ ოთხშაბათს, 15 ივნისს, საღამოთი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა დარბაზში შესდგა ქუთ. სამეურნეო საზ. წევრთა კრება. ამ კრებაზე მოხსენება წაიკითხა თბილისიდან სპეციალურათ გამოგზავნილმა დ. ი სოსნოვსკიმ ქუთაისის გუბერნიაში სამკურნალო მცენარეულობის შეგროვების შესახებ მცირე კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, დაარსდეს განსაკუთრებული ბიურო, რომელსაც დაევალება ინსტრუქტორებსა და მათ თანაშემწეებს დაავალოს სასოფლო სამეურნეო აღწერის დროს აუხსნან მცხოვრებლებს ამ მცენარეების თვისება და შეგროვების წესი.

◆ ქუთ. საგუბერნიო მეურნეობის აღწერისათვის მთავრობამ გადადვა 31,400 მან ნაცვლად 43,000 მანათისა, რის გამოც მოხელეებს ჯამაგირი შეუმცირდებათ.

◆ გუშინ, ქუთაისიდან ხონს გაემგზავრენ ი. გ. ქუთათელაძე, ბ-ნი გინდცი და სოსნოვსკი, რომელთაც უნდა გამოიკვლიონ მეაბრეშუმობის საქმე და შესაფერი მოხსენება შეადგინონ

——

### ს ო ფ ლ ა დ.

10 ივნისს, ღამით, სოფელ ნაგარევში (ქუთ. მაზ.) ოთხი შეიარაღებული ბოროტმომქმედი მღვდ. ბურჯანაძეს თავს დაესხა. ავაზაკებმა მღვდელს მოსთხოვეს 3000 მან. თუ არ მისცემდა, სიკვდილით ემუქრებოდენ.

მღვდელს უჩვენებია ფულის შესანახი ადგილი. ბოროტმოქმედებს გაუჩხრეკიათ სახლი, და წაუღიათ ფული და ოჯახის ავეჯი ღირებული 479 მან. ეჭვით დაუჭერიათ ნაგარევის მცხოვრებნი: ევსევი ხუციშვილი და დავით მუმლაძე უკანასკნელები გამოპარული ჯარისკაცები ყოფილან. გამომძიებელს ქუთაისის სამხედრო მაზრის უფროსისათვის გადაუცია იგინი.

— 12 ივნისს, სოფელ თეკლარში (ზუგ. მაზრა) ორი ვერსის მოშორებით ახალსენაკიდან გაუმართავთ საჯარო სეირნობა. სეირნობას 200 კაცი დასწრებია. ნაშუადღევის 3 საათზე იქ მისულან ზუგდიდიდან ცნობილი ყაჩაღები გოლია გაბედავა და თეოფანე გელენავა ერთი საათის შემდეგ ისინი წასულან დუტუ ეჯიბიას სახლში და უკანასკნელი თოფით მოუკლავთ. სიკვდილის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ყაჩაღებს ეჯიბიასათვის 200 მან. მოუთხოვიათ და არ მიუცია.

-- სოფელ ცხილთაწყაროში 12 ივნისს ადგილობრივ ადმინისტრაციას ნიკოლოზ ბუცხრიკიძის სახლში აღმოუჩენია მოკლული ქალი, ცოლი ნიკ. ბუცხრიკაძისა. ქმრის სიტყვით, ის მოუკლავთ ვითომდა ყაჩაღებს, რომელნიც მათ თავს დასხმიან და ფული მოუთხოვიათ ადმინისტრაციის აზრით, მკვლელობას ნიკ. ბუცხრიკიძისა და მისი შვილის, ესე იგი გერის, ჩადენილი უნდა იყოს.

— სოფელ ხეცისაში (აბას. მაზრა) ამას წინად გერმანე აბშილავამ სამრევლო სკოლის ეზოში სასოფლო სეირნობის დროს რევოლვერით მოკლა თედორე ბერაია. ამ უკანასკნელთან მას უთანხმოება ჰქონია. მკვლელი აბშილავა გაქცეულა.

— დ. ხონში დაარსდა ქართული დრამატიული საზოგადოება, რომელმაც გადასწყვიტა გაუძლვეს კიდეც სეზონს. მოიწვიეს შემდეგი მსახიობნი: ქ ნი: მ. მდივანი, ო. ლოლობერიძე, ბ ნი: მ. ნემო, ა მურუსიძე და ალ. ყალაბეგიშვილი (უკანასკნელი რეჟისორად) სეზონი დაიწყება შაბათს, 18 ივნისს. წარმოდგენილ იქნება „სამშობლო“. დასში აგრეთვე მონაწილეობენ ადგილობრივი სცენის მოყვარენიც.

## აღმოსავლეთისაკენ!..

ამ სათაურით გაზეთ „საქართველოში“ დასტამბულია ბ. დ. კახელის ფრიად საყურადღებო წერილი.

ავტორი ეხება აღმოსავლეთ საქართველოს დაწინაურებას და ამავე დროს ამ მხარის მამულების სხვის ხელში გადასვლას.

ბ. დ. კახელი აღნიშნავს რა იმ საფრთხეს, რომელიც მოელის საქართველოს მთლიანობას, მოითხოვს, რომ დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა კუთხის ქართველობა, რომელიც მიწის სივიწროვის გამო იძულებული არიან ძველი სამოსახლო კერა დასტოვონ, უნდა გადასახლდენ აუცილებლივ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ მრავალია სამოსახლო ადგილები და სადაც ჩასახლდება დასავლეთელ ქართველებისა გააძლიერებს ჩვენს ეროვნულ ძალას.

ჩვენი ბანკები, მოვალენი არიან დახმარება გაუწიონ ქართველებს მამულის შეძენაში.

ჩვენ დიდის სიხარულით ვეგებებით პატივცემულ დ. კახელის აზრს, ვინაიდან საქართველოს მიწა-წყლის დაკარგვა და სხვის ხელში გადასვლა საქართველოს სიკვდილს უდრის.

ჩვენ ყოველ უკიდურეს ზომას უნდა მივმართოთ მის მკვიდრად დასაცავად. და ამ რიგად ჩვენის მხრივ ჩვენც მოვუწოდებთ დასავლეთ საქართველოს მხცოვრებთ, რომ, როდესაც ისინი მამულის სივიწროვის გამო იძულებული იქნებიან სხვაგან გადასახლდენ, უთუოდ ეროვნული თვალსაზრისით იხელმძღვანელონ და აღმოსავლეთ საქართველოს თავისუფალ მამულებს მიაშურონ, რომელსაც შემოჭრილი უცხოელები უპირებენ დაუფლებას.

ყოველი ქართველი უნდა ცდილობდეს, რომ იგი ეროვნულად დაზიანებულ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრდეს...

დიაღ, ასე უნდა მოიქცეს ყველა ის, ვისაც სწამს ჩვენი ნაციონალური ცხოვრება, ვინც შეხარის ჩვენს უკეთეს მომავალს...

მომავალი და ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობა აკი მხოლოდ მიზანშეწონილი და პრაქტიკული მოქმედებით უნდა გამოიჭედოს.

ყველამ უნდა შეიგნოს, რომ საზღვარ შემორღვეულ საქართველოს გამთელება ეჭირვება, ყველამ უნდა შეიგნოს, რომ სამშობლოსადმი ვალის მოხდა არ არის თითო ოროლა პირის განცხრომით ცხოვრება, არამედ ყველანი უნდა სამშობლოს სხეულის გამაგრების ბრძოლით უნდა აღვენთეთ, და შევუდგეთ უკუღმართად მიმავალი საქმის გამობრუნებას.

ირ—დი.

## პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. დვალიშვილი** (ქუთ. მაზრა.) ძალიან იშვიათად შეხვდება მკითხველს ამ სოფლის სახელი გაზეთებში. ეს სოფელი მდებარეობს ქუთაისის სამხრეთით 25 ვერსის მანძილზე. ბუნებით მდიდრიავ თბილი აბანოები, მშვენიერი მთა-გორაკები და ახლო მთიდან მოჩხრიალე ანკარა მდინარე. ყველა ეს დიდ სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს.

რაც ითქმის ბუნებაზე, თითქმის, მეასედი არ შეეფერება აქაურ მცხოვრებთ სოფელი კულტურულად, ძლიერ ჩამორჩენილია. აქ არ არსებობს არავითარი კულტურული დაწესებულება, გარდა საკრედიტო ამხანაგობისა. არც სასწავლებელი, არც სამკითხველო და არც კოოპერატული დაწესებულება, რომელიც ძლიერ საჭირო ამ ზლაპრულ სიძვირეში. კარგი იქნებოდა რომ ვინმეს თავს ედვა და ერთი მაინც ამ დაწესებულებებთაგანი დაეარსებია ამ სოფელში, მაგრამ ვინ უნდა ითაოს? ინტელიგენციამ. საუბედუროთ ამისთანა ინტელიგენიას მოკლებული ვართ თუმცა მოიპოება თითო ოროლა ისეთი პირები, რომელთაც შეეძლოთ მეთაურობა გაეწიათ სოფლისთვის, მაგრამ ამ ვაჟბატონებს სოფლის კეთილდღეობისთვის არ ცხელათ, თავს არ იწუხებენ.

სამაგიეროთ ამ სოფელში ძლიერ გავრცელებულია კარტის თამაშობა, არღნით ქეიფობა და ერთი მეორესთან უსაფუძლო აურ-ზაური ყველა ამას, რასაკვირველია ცუდი გავლენა აქვს თვით მცხოვრებლებზე. დროა, ბ-ბო, შევიგნოთ, რომ უბრალოთ დროს დაკარგვა დამღუპველია როგორც პირადათ მათთვის, ვინც კარტ ნარდს სწყალობს, ისე თვით საზოგადოებისთვის.

ერთი ფშრული.

თითოეულ „ჯგუფს“ თავისი თავი ჰგონია ქვეყნის პატრონი და ფოცხვერივით იერიში მიაქვს მეორე ჯგუფზე არც მეორე „ჯგუფის“ წევრები უვარდებიან და იმართება ისეთი ორომტრიალი, რომელიც აკნინებს, ათახსირებს, ასუსტებს შინაურ ძალებს და საშუალებას აძლევს გარეშეებს არავითარი ანგარიში აღარ გაუწიონ ქართველობას.

ასეთი ორომტრიალი რყვნის ახალთაობასაც. სკოლა და ოჯახი ჯგუფურის სენით ავადდება და მომავალიც კერძოობის გზას ადგება ..

გადაავლეთ თვალი ჩვენს მოზარდებს და დამეთანხმებით, რომ ჩვენვე ვმარხავთ საქართველოს თავისუფლებას, საქართველოს თვით-არსებობის იდეას!..

მოწაფეები ერთმანეთს სჭამენ ჯგუფურ ნიადაგზე და მათ შორის ისეთი სიძულვილი იკიდებს ფეხს, რომ ურიას ისე არ შეეჯავრება ღორის ხორცი...

დაუკვირდით ჩვენს შინაურ საქმეებს და თქვენ დამეთანხმებით, რომ მალე დადგება ისეთი დრო, როცა ან ერთმანეთს დავერევით და ან ამაზე უარესად დავმცირდებით სხვისგან, როგორი დამცირებულიცა ვართ დღეს...

ეს „ჯგუფობანა“ მით უფრო მავნებელია ჩვენთვის, რომ იგი არ არის ნაყოფი მთელი ქართველი ხალხის გულის თქმისა. ეს „ჯგუფობანა“ შექმნა ჩვენმა ინტელიგენციამ ამ ხალხზე საბატონებლად, მაგრამ რაკი არც ერთ ჯგუფს იმდენი ძალა არა აქვს, რომ ხალხზე გავლენა მოახდინოს, ეს ჯგუფები მარტო ერთმანეთს სჭამენ, ერთმანეთთან კინკლაობას ანდომებენ დროს და თვით ხალხი კი რჩება ისევ მკითხავებისა, ჩარჩებისა, მოხელეებისა და ნაძირალების საყვლეფ - სათრევად, უვიცი, დაბრიყვებული, უპატრონო.

რა თქმა უნდა, რომ ჩვენი ხალხის ცხოვრებას ყოველ მხრივ სჭირია გაშუქება, რასაც ვერ შესძლებს ერთი დასი, ან ჯგუფი, მაგრამ თითოეულ ჩვენში არსებულ ჯგუფსა, თუ დასს უნდა ჰქონდეს ერთი უმთავრესი კანდელი, სითკენაც უნდა მიისწრაფვოდეს ყველა. ეს კანდელია ჩვენი ხალხის, საქართველოს ფეხზე დაყენება და რომელი ჯგუფიც ამ კანდელს არა ხედავს, იგი მტერია ხალხისა.

აი, აქ არის საჭირო შეერთებული ხმა ერისა, აქ არის საჭირო ერთი რომელიმე დასი, რომელიც ხელმძღვანელად უნდა გაუხდეს ყველა სხვა ჯგუფებს, რომელიც დაამყარებს სასტიკ დისციპლინას, და ყველას თავის ადგილს მიუჩენს: ჩემპიონებს ცირკში გაგზავნის ქურდ-ბაცაცასა და ჩარჩს — სატუსაღოში, ღირსეულ მამულიშვილს მისცემს „გზა ფართოს“ ნამდვილ მებრძოლს შეამკობს დაფნის გვირგვინით, დაჩაგრულ ხალხს მხარში ამოუდგება და შეჰქმნის ერთ ხალხოსნურ იდეას, რომლის წინაშეც ქედი უნდა მოიხაროს ყოველმა სივერაგემ და თვალთმაქცობამ.

ასეთი დასი ჯერ ჩვენ არ გვყავს!

ასეთი დასი ახლა უნდა შეიქმნას!

ვინ შექმნის ასეთ დასს?

ამ დასს შექმნის დღევანდელი ისტორიული მომენტი, ამ დასს შექმნის შედეგი მსოფლიო ომისა, ამ დასს, შექმნის ის სისხლი, რომელსაც ღვრიან ჩვენი მეომრები შორეულ ქვეყნებში, ამ დასს შექმნის ცრემლი წმინდა, დანთხეული ქართველი დედისაგან, ამ დასს შექმნის თვით ხალხი, თვით ერი, როცა მას ძალა მიეცემა და თავის თავს საბოლოოდ მოტყუებულად დაინახავს და...

ვაი მაშინ „მწიგნობართა, ფარისეველთა, და ორგულთა“! .

ია ეკალაძე.

## ქართული სამეცნიერო და საფილო სოფოსო ტერმინოლოგია.

იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით.

მ.

**მიუბუნება**, устроилъ, одарилъ.
**მიმქნული**, присущій.
**მიუვებით**, по снисхожденію.
**მიჩემება**, приписать.
**მიხუმა**, მიღება, აღება, принять, брать, хватать.
**მკერდის თავი**, грудня клѣтка. სჯობს: მკერდი.
**მნებებელი**, (ძალი), желающая (сила, способность).
**მნებელობა**, воля.
**მისაყრდნობელი**, подпорка.
**მოგება**, пріобрѣтеніе.
**მოგობა**, прорицаніе.
**მოდრეკა**, наклонъ, наклоненіе (ასტრონომიული ტერმინი).
**მოდრიკა**, наклонилъ.
**მოვიშთობით**, душимся.
**მოვლენა**, явлоніе; то, что случается.
**მოზარდობითი ძალი**, растительная питающая сила.
**მოითმენს ბოროტს**, подчиняется злу.
**მოკვდავება**, смертность.
**მოკვდავი**, смертный.
**მომლება**, недостатокъ; საზრდელის მოკლება, недостатокъ въ пищѣ.
**მოლოდება**, ожидать.
**მომავალი**, будущее.
**მომარჯვე, მომარჯვებული**, приспособленный; აქედან: მომარჯვებულება, приспособленіе.
**მომზიდველნი მუსნი, ანუ თაგუნი**, сокращающіеся мускулы.
**მომლოდე**, въ ожиданіи, ожидающій.
**მომმოხველობა**, устраненіе зуда.
**მომმუხაობა**, терпкость, стягивающій вкусъ. (ამგვარი გემო აქვს, მაგალითად, მუხის ქერქის ნახარშს, ტანნინის ხსნილსა და სხ.).
**მომწოველობითი**, притягивающій.
**მომხავი**, терпкій; გემო აქვს მუხის ქერქისნახარშს, ტანნინის ხსნილსა და სხ.).
**მომხდომი**, случайный.
**მომხსენე**, помнящій.
**მომხსენებლობა**, память.
**მონაცვლეობა**, преемство.
**მოიწოვს, მიიწოვს**, притягиваетъ.
**მორთულობა**, строеніе; კეთილმორთულობა, гармонія.
**მორფიოს იქნების**, формируется.
**მორჩილი**, подчиняющійся.
**მოსალოდებელი**, ожидаемый.
**მომისხლე**, убійца.
**მოულოდებელი**, неожиданный
**მოქმედება**, процессъ, дѣйствіе.
**მოქმედებითი**, дѣйственный.
**მოქცევა**, круговращеніе, кругооборотъ.
**მოქალაქობა**, государственное устройство.
**მოღვაწე**, дѣятель разумный.
**მოღვაწება**, упражненіе.
**მოწოვა**, притягивать
**მოწყლვა**, раздражать.
**მოხდება**, наступить
**მჟავეობა**, кислотность. сладность.
**მრავალნებულება**, многожеланіе.
**მრავალსახე**, разнообразный.
**მრავალკუთხი**, многоугольникъ.
**მსაჯული**, судья.
**მსიტყველი**, მეტყველი, обладающій рѣчью, разсуждающій
**მსოფლებრივი**, мировой
**მტკიცე**, твердый, плотный, прочный.
**მტკიცექმნილი**, затвердѣвшій, застывшій.
**მქცეველი**, превращающій.
**მქცევადობა**, превращаемость.
**მღვიძარება**, бодрствованіе.
**მყარი**, плотный
**მუსი**, мускулъ, мышца,
**მყოფი**, сущій.
**მყოფობა**, бытіе.
**მშობელი**, производящій.
**მშობლობითი ძალი**, производительная сила.
**მცვალებლობითი**, измѣняющій.
**მცველი**, сохраняющій.
**მცველობა**, забота, защита.
**მცოდველი**, преступникъ.
**მცონარეობა**, უზრუნველობა, გაუბედაობა, безпечность, беззаботность, нерѣшительность.
**მცურავლნი**, (ცხოველნი), плавающія (животныя).
**მძლავრი**, сильный.
**მძლე**, побѣждающій.

ვასილ წერეთელი.

# რუსეთი.

სათბობებისა და ნავთის კრიზისის გამო რუსეთში არსდება განსაკუთრებული ორგანო, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ხსენებული საგნების დამზადებასა და ხმარებას.

— —

რუსეთში ტრამვაის ვაგონებით მოგზაურობაზე ფასს უმატებენ.

— —

რუსეთის ხაზინას ოფიციალი მთავრობისაგან წინადადება მიეცა, რომ მან გამოისყიდოს რუსეთში არსებული უცხოელების საელექტრონო სადგურები და ქარხნები.

— —

მოსკოვის საოლქო სასამართლო შეუდგა მღვდელ ვოსტოკოვის საქმის გარჩევას, რომელსაც მთავრობა სხვადასხვა საერო საქმეში ჩარევასა და ბოროტმოქმედების ჩადენას აბრალებს.

— —

პედაგოგთა ყრილობაზე, სხვათა შორის, დაადგინეს! 1) დაარსდეს განსაკუთრებული ორგანო, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს ამა თუ იმ საშუალო სასწავლებლის საქმეს. 2) მიღებულ უნდა იქნას ზომა მოწაფეებში ზნეობის განსამტკიცებლად. 3) ყველა მოწაფე ეროვნულ ზრახვათა მატარებელი უნდა იყოს. 4) სასურველად იცვნეს გიმნასტიკისა და სხვა ამგვარ ფიზიკური ვარჯიშობის გაფართოება. 5) ყოველ სასწავლებელში უნდა დაარსდეს მშობელთა წრე და სხვა.

— —

სამხედრო მინისტრის განკარგულებით, სამხედრო ტყვეები ექიმებმა კვირაში სამ ჯერ უნდა გაშინჯონ.

— —

რუსეთის მთავრობამ ბულგარეთის ყველა ქვეშევრდომს მოქალაქობრივი უფლება აჰყარა.

— —

სასურსათო კომისიას შინაგან საქმეთა სამინისტროში საჩივარი შეუტანია შესახებ იმისა, რომ კომერციული ბანკები მეტად ბოროტად იქცევიანო. ბანკები ნარდათ ყიდულობენ ხორბალს და ხორბლის ფასსა და რაოდენობას სასურსათო კომისიის მთავარ გამგეობას არ ატყობინებენო.

— —

პეტროგრადში სამინისტროს განსაკუთრებული თათბირი ჰქონდა გამართული სასოფლო სამეურნეო საქმის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ. გადაწყვეტილია სააგრონომო მთავარი ორგანოს დაარსება.

— —

ებრაელთა საკითხი კვლავ აღიძრა სათათბიროში. სოციალდემოკრატებმა და სხვა მემარცხენეებმა ებრაელთა უფლებრივი გათანასწორება მოითხოვეს. საკითხის განხილვა გადაიდვა.

— —

### უ ც ხ ო ე თ ი.

ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ცნობილ თალაათბეის გერმანელ ჟურნალისტთან საუბრის დროს, სხვათა შორის, აღუნიშნავს, თუ რისთვის დახოცეს და თავის სამკვიდრებელს აჰყარეს სომხები.

თალაათის სიტყვით, სომხები იმიტომ დახოცეს და აჰყარეს, რომ ისინი თავის ცხოვრების გაუმჯობესებას და მომავალ კეთილდღეობას ოსმალეთის დამხობასა და დანაწილებაში ხედავდენო. ამას კი ჩვენ, ვიდრე ძალა ხელთ გვიპყრია, ვერავის ვერ ვაპატიებთო.

რაც შეეხება ქურთების ძალადობას და სომხების ქონების წართმევას, ეს მოხდა უვარგისი მოხელეების წყალობით და არა ბრწყინვალე პორტას ბრძანებითაო.

— —

მექსიკის ეროვნულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ვილკარსიტი.

— —

სპარსეთში გერმანელები კვლავ განაგრძობენ მოქმედებას. მათ მიუმხრიათ ბახტიარები და დასავლეთის გამოჩენილი ხანები.

როგორც „რუსკ. სლოვო" სწერს, გერმანელებს სპარსეთში ახალი ჯარი შეუდგენიათ, რომელიც ბაღდათთან მოქმედ რუს ინგლისელების ჯარს უნდა შეებრძოლოსო.

— —

გერმანიის იმპერიის კანცლერმა სოციალდემოკრატების მიმართ მტრული განწყობილება შესცვალა და უკანასკნელ თავის სიტყვაში იგი მოუწოდებდა სოციალდემოკრატებს გერმანიის საერთო ინტერესებისთვის თანასწორად და შეთანხმებულად მოქმედებას.

კანცლერის ასეთი მიმართვა სოციალდემოკრატიისადმი ყველას ფარისევლობათ მიაჩნია.

— —

გერმანიის სოციალდემოკრატებს გადაუწყვეტიათ ახალ სამხედრო სესხსა დ ბიუჯეტს არა თუ მხარი დაუჭირონ, მის წინაალმდეგ სასტიკად გაილაშქრონ.

## პასუხად

### ბ. ალექსანდრე ტრიფონის ძეს ბურბენიძეს.*)

პატივცემულ გაზეთ „ჩვენს მეგობარში" (1 ივნისი 1916 წ. № 72) მოთავსებული არის თქვენი დია წერილი, რომლითაც სამედიატორო სამართალში მიწვევთ და პასუხისათვის სამი დღის ვადას მაძლევთ. პასუხი დამიგვიანდა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო: როცა თქვენი წერილი დაისტამბა სწორეთ მეორე დღეს საქმეების გამო ბაქოში წაველი და იქ შევრჩი. დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რომ პატივს ვცემ ბეჭდვითი სიტყვას, პრესას და იმ კულტურულ საზოგადოებას, რომლისთვისაც თქვენ მიგამართავსთ, მაგრამ ზემო მოხსენებულმა გარემოებამ გამოიწვია პასუხის დაგვიანება. ძნელი კი არ არის თქვენთან გამოხმაურება და ანგარიშის გაწევა ერთის მხრით მიტომ, რომ თქვენ „პატიოსნების" შებღალვა თურმე არად მიგაჩნიათ და მეორეც მამათქვენი გარდაიცვალა 1913 წ. და თუ 1910 წ. აღძრული საქმე მის სიცოცხლეში არ დაბოლავდა, ახლა უფრო უსამვლო იქნება მისი გათავება, მით უფრო, რომ თქვენ ჩვენ შორის განწყობილების შესახებ ცოტა ცნობები გქონიათ და ისიც არა უტყუარი, არამედ უსწორი და შემცდარი ამიტომ ვშიშობ, რომ ჩვენი საუბარი გაუგებარ ენაზე იქნება. თუ ასე არ მოხდა, აი სინამდვილე რაშია: განსვენებული მამათქვენისათვის მე არას დროს არ დამივალებია ამა თუ იმ საქმის გაკეთება, ამიტომ ბრალის დადება, ვითომც ბ. ბ. დათეშიძეების ხეტყის საწარმოში სამსახურს მე დავანებებიე თავი სიმართლეს მოკლებული არის; ამას დაადასტურებს ბ რაჟდენ ე დათეშიძე. მამათქვენი 1906 წ. დეკემბერში დაქანებით ჩამაცივდა, არ მომისვენა და მექვენაში წამიყვანა მაღნების საყიდლათ, მაგრამ, მადლობა ღმერთს მაშინ გადავრჩი და საქმეში ვერ ჩამაბა მას შემდეგ 1909 წ. ისეთივე დაჟინებით, აღარ მომშორდა, მარწმუნა, რომ ხეტყის საქმეში ის დიდი გამოცდილი არის, დამაჯერა, რომ წარმოება ხელსაყრელია, რომ ის ტყის უიდვის შემდეგ ჩადგება საქმეში და წარმოებისათვის მოითხოვს რამოდენიმე წილს წმიდა მოგებიდან. დავუჯერე და ჩამითრია საქმეში ტყე ვიყიდე ჩემდა საბედისწეროთ. მოგახსენებ საბედისწეროთ მიტომ, რომ იმ დღიდან იწყება ჩემი უბედურობა. ცხადია, რომ მე დიხეთის ტყე არ ვიცოდი, არც გამეგოხა და მისი უიდვის ინიციატივა ეკუთვნის განსვენებულ მამათქვენს. აქედან ცხადია ისიც, რომ მე კი არ მომიწვევია ის, მან თვითონ მე მომიწვია; მე კი არ დავანებებიე ბ. დათეშიძეების ხეტყის საწარმოში თავი სამსახურს, თვითონ დაანება და თურმე სხვა გარემოებამაც აიძულა იქ სამსახურისათვის თავი დაენებებია შეიძლება გამყიდველებმა სთხოვეს ტყის გაყიდვაში დახმარება, მაგრამ მე, ვიმეორებ, არ დამიკისრებია ტყის მოპოვება და მის უიდვაში დახმარება.

როცა საბუთები შესრულდა, განსვენებულმა მთხოვა ჯერ ოცდა ათი პროცენტი მოგებიდან, რადგან მას უნდა ეწარმოებია საქმე მე თანახმა გავუხდი, დების ქადაღლიც ვიყიდე და ვქალს მივმართეთ, რომ მას იურიდიულათ შეემუშავებია და დაეწერა ჩვენ შორის პირობა, მაგრამ მამათქვენმა შუშალა ეს პირობა, უჩემოთ მივიდა ვქილთან და გამოართვა დერბის ქადაღლი შემუშავებული პროექტით. (ამას დაადასტურებს ნაფიცი ვექილი გ. ს. ბარათაშვილი).

შემდეგ მომთხოვა მონაწილეთ მიმეღო მეოთხედ ნაწილში თითონ მამულშა; ამაშიაც დავეთანხმე იმ პირობით, რომ მეოთხედი მამულის ფასი უნდა მოეცა ჩემთვის, რასაკვირველია, რაც მიმიცია იმ ანგარიშით ამ გვარად ხდებოდა მეოთხედი მონაწილე ქონებაში, წარმოებაში, მოგებასა და ზარალში. რომ შემემსუბუქებია მისთვის ამ პირობის შესრულება, მოსაცემი ფული გავუნაწილე: პირობის დაწერის დროს უნდა მოეცა ასი თუმანი, შემდეგ კიდევ ნაწილ ნაწილათ, რაც შემხვდებოდა. ბოლოს ესეც აღარ ინება: გამირისხდა, დამემუქრა სულ აგალებიებ ხელს მამულზეო, რადგან, მისი აზრით, ჩემი საბუთები უკანონო იყო. ამ მიზნით გოცირიძეებს (გამყიდველებს) ონის ნოტარიუსთან პირობა შეუკრა, რომლის ძალითაც ჩემგან შეძენილი ტყე მუაზე უნდა გაეყოთ და მიეთვისებიათ, რასაკვირველია, საბუთების გაბათილებისა და ტყის ჩამორთმევის შემდეგ ამ გეგმის განსახორციელებლათ გოცირიძეები და მამათქვენი დიდძალი მუშით შეიჭრენ ტყეში, გამოდენეს ჩემი მცველები და დაუზოგავათ აახრეს ტყე

ესეც ვქტიურად დაფლობა სხვისი ქონების! მათი აზრით, მე გამიშვეს სასამართლოში ჩემი ვითომ სუსტი საბუთებით; საქმე სასამართლოში რომ წლობით გაგრძელდებოდა, ესეც ზედმიწევნით იცოდენ და საქმის დაბოლავებამდის ხომ ტყე მათ ხელში და სარგებლობაში იქნებოდა. ამგვარად, უნდოდათ წაერთმიათ ჩემთვის ის ქონება, რომელიც შევიძინე წვითა და დაგვით ნაშოვნი ფულით. მაგრამ ღმერთმა არ გაწირა კაცი მათგან გაწირული: ადმინისტრაციას მივმართე, მან დამიცვა და დიდის შრომის, ტანჯვისა და ზარალის შემდეგ ტყე ისევე მე ჩამბარდა. ისეც გძელი წერილი მომივიდა და ამიტომ დაწვრილებით არ ჩამოვთვლი, რაც ზარალი მომმცა მამათქვენმა მარტო ამისთანა საქციელით.

ბრძანებთ სახლი ებრაელს დაუგირავა მამოო; ესეც სინამდვილეს მოკლებულია არის: სახლი ბანკში იყო დაგირავებული, ებრაელს ფული გამოართვა, ბანკისგან გაანთავისუფლა და ებრაელის ვალი კი დარჩა ამგვარად, დაგირავებული სახლი ისევ ისე დარჩა. აღებული ვალიც სამას თუმანზე მეტად ნაკლებია. როცა ებრაელს სახლი დაუგირავა მამათქვენმა ჩემთვის ასი თუმანი უნდა მოეცა, რომ მეოთხედში მონაწილე და ამხანაგი გამხდარიყო, მაგრამ ეს მან აღარ ინდომა, მამულის წართმევა დამიპირა და ჩემზე მოსაცემი ვალი ამ ბოროტი მიზნის მისაღწევად დახარჯა, რაში აც მე უბრალო და უდანაშაულო ვარ.

ამის შემდეგ რა სამართალი [illegible] ჩემი ნებით? მე თქვენ წარმოებას ვერ მოგანდობთ, რომ მოგებიდან [illegible], რომ ხეტყის საქმე წარმოება მამამ იცოდა და შვილმა კი არა [illegible] მოიცანით (ფასი მამულის) იმ შემთხვევაშიაც შეუძლებელი იქნება თქვენი ამხანაგად მიღება იმავე მიზეზის გამო რომ თქვენ ვაჭარი — მწარმოებელი არა ხართ.

მე გაძლევთ შემდეგ წინადადებას: მიირთვით ეს მამული თქვენ, ანუ ვინც გინდათ იმას მიეცით ისევე იმ „ხელსაყრელ ფასში", როგორც მე მიყიდნია ათი პროცენტით და იმ ხარჯებით რაც ტყეს მოუნდა დაცვა-შენახვაში ჩემი განამცდარით და ნამდვილი ზარალით. თუ თქვენ არ ინებებთ, ან ვერ შეიძლებთ, ვისაც შეტყვით მას მივცემ ამ პირობებით, ხოლო ორი თვის ვადაში დღეიდან. თუ ასე ინებებთ მუდამ მადრიელი ვიქნები თქვენი და ვიტყვი: თუ მამამ ჩამაგდო ჯოჯოხეთში, შვილმა მიხსნა ჯოჯოხეთიდან-მეთქი.

აბრამ კ. ჩილინგარიძი.

*) რადგანაც ავტორისათვის „მეგობრის" რედაქციას ეს წერილი არ დაუბეჭდია, ავტორს საშუალების ვაძლევთ თავისი სიტყვის. **რედ.**

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო"**



**რკინის გზის მიმოსვლა.**

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. 5 წ | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 55 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 45 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 25 | „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს 31 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. 55 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. 5 | „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 30 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 10 | „ |
| „ | — დილის | — 6 ს. — | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 13 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. 25 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 6 ს. 25 | „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავადმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს ყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავადმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სა'მელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

**სალი კუჭი**

# ჟელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარ შველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ყაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემორისა, იწვევს სისხლის მოწამლვას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასადებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგან. **ჟელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჭიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** საავთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)